თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2018 წლის 19 ნოემბრის სხდომის ოქმი #16

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი– 22, სტუდენტი– 0, სულ– 22 წევრი.

დღის წესრიგი:

1. თსუ კურსდამთავრებულთათვის ხარისხის კორექტირების შესახებ
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის (რექტორის ბრძანება-№109, 10.05.2018), ასოცირებული პროფესორის (რექტორის ბრძანება-№110, 10.05.2018), აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობისთვის ასაკობრივი ბარიერის მოხსნის შესახებ
   /დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, დისერტაციის დაცვის თარიღისა და სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების (შემფასებლების) დამტკიცების შესახებ
   /სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/

4. ინფორმაცია ჟურნალ ეკონომიკისა და ბიზნესის საერთაშორისო ბაზებში ჩართვის მიზნით გაწეული და მიმდინარე სამუშაოების შესახებ
   /პროფ. ე. მექვაბიშვილი/

5. მიმდინარე საკითხები

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯომარემ, დეკანმა, პროფ. გიორგი ღაღანიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 19 ნოემბრის #16 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№21940/10, 22.10.2018), სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ ნინო ონიანისათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული საქმისწარმოებით საჭირო გახდა თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანებით კურსდამთავრებულის დიპლომი ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ნინო ონიანი 2001 წელს მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების მეწარმეობის ეკონომიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/752, 02.08.2001).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულ ნინო ონიანს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 23 ივნისის საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი ოქმი №09) მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 23 აგვისტოს №4/752 ბრძანებით - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №001745 (სარეგისტრაციო №01/2543) რეგისტრირებულია ნინო ონიანის სახელზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი ოქმი №09, 23.06.2005) მინიჭებული ხარისხი არ არის შესაბამისობაში ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/723, 23.08.2005) მინიჭებულ ხარისხთან. ამიტომ, უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მეწარმეობის ეკონომიკის და მართვის სპეციალობაში

ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილება (შემაჯამებელი ოქმი №09, 23.06.2005) და კურსდამთავრებულ ნინო ონიანს ნაცვლად **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“** უნდა მიენიჭოს **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ბიზნესის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“**.

ქალბატონ ე. ხარაიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ნინო ონიანს ნაცვლად **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ბიზნესის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“**.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ ნინო ონიანს ნაცვლად **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ბიზნესის ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“**.

2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მეწარმეობის ეკონომიკის და მართვის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №09, 23.06.2005)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების (რექტორის ბრძანება-№270/01-01, 01.11.2018) აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობისთვის ასაკობრივი ბარიერის მოხსნის შესახებ.

/დეკანი, პროფესორი გ. ღაღანიძე/

დეკანმა, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. გ. ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულია კონკურსი (რექტორის ბრძანება-№270/01-01, 01.11.2018) ასოცირებული პროფესორების 4 საშტატო ერთეულზე. კონკურსისთვის მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღება 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობისთვის ასაკობრივი ბარიერის მოხსნის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს განცხადებით მომართა საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა თეიმურაზ შენგელიამ საერთაშორისო ბიზნესის მიმართულებით გამოცახდებული ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (კატეგორია „ა") ასაკობრივი ბარიერის მოხსნასთან დაკავშირებით. არსებული წესის მიხედვით ფაკულტეტის საბჭომ უფლებამოსილება უნდა მისცეს დეკანს მიმართოს რექტორს, როგორც აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს, რათა აღნიშნული საკითხი გაიტანოს აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი: თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებაში (№118/2014) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ, დაშვებულ იქნას გამონაკლისი და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების (რექტორის ბრძანება-№270/01-01, 01.11.2018) აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე, 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობისთვის ასაკობრივი ბარიერი მოიხსნას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებაში №118/2014, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ, მოიხსნას ასაკობრივი ბარიერი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების (რექტორის ბრძანება-№270/01-01, 01.11.2018) აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, საერთაშორისო

ბიზნესის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე, 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობისთვის მოიხსნას ასაკობრივი ბარიერი.

2. ეთხოვოს თსუ-ის რექტორს აღნიშნული საკითხი განიხილოს თსუ აკადემიურ საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, დისერტაციის დაცვის თარიღისა და სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების (შემფასებლების) დამტკიცების შესახებ

/სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/

ქალბატონმა მ. ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა:

I. **დისერტაციის დაცვის კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი** და დისერტაციის დაცვის თარიღი.

1. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ დიმიტრი ჯავახაძის სადისერტაციო ნაშრომის: „ელექტრონული სერვისების როლი ბიზნესის განვითარებაში"
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი

   სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:
   1. პროფესორი გიორგი ღაღანიძე
   2. პროფესორი თემურ შენგელია (თავმჯდომარე)
   3. პროფესორი ნუგზარ თოდუა
   4. პროფესორი დავით ნარმანია
   5. პროფესორი ელენე ხარაბაძე
   6. პროფესორი ევგენი ბარათაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
   7. ასოცირებული პროფესორი უშანგი სამადაშვილი (მოადგილე)
   8. ასოცირებული პროფესორი ლარისა ყორღანაშვილი
   9. ასოცირებული პროფესორი მარინე კობალავა
   10. ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე
   11. ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი (მდივანი)

დისერტაციის დაცვის თარიღი: 2018 წელი, 7 დეკემბერი 13 საათი, 206 აუდიტორია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ დიმიტრი ჯავახაძის სადისერტაციო ნაშრომის: „ელექტრონული სერვისების როლი ბიზნესის განვითარებაში" დაცვის კომისიის შემადგენლობა და დაცვის თარიღი.

2. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ მერი დაუშვილის სადისერტაციო ნაშრომის: "საბაჟო სტატისტიკის ინსტიტუციური რეფორმირება საქართველოში" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე)

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე
2. პროფესორი სიმონ გელაშვილი (თავმჯდომარე)
3. პროფესორი რევაზ გველესიანი
4. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
5. პროფესორი თემურ შენგელია (მოადგილე)
6. ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი
7. ასოცირებული პროფესორი მარინა მუჩიაშვილი
8. ასოცირებული პროფესორი მერაბ ხმალაძე
9. ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი (მდივანი)
10. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
11. ასოცირებული პროფესორი ნონა ახვლედიანი (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

დისერტაციის დაცვის თარიღი: 2018 წელი, 7 დეკემბერი 15 საათი, 206 აუდიტორია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ მერი დაუშვილის სადისერტაციო ნაშრომის: "საბაჟო სტატისტიკის ინსტიტუციური რეფორმირება საქართველოში" დაცვის კომისიის შემადგენლობა და დაცვის თარიღი.

3. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ლევან სილაგაძის დისერტაციის ,,პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (1996-2016)"

   მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი სიმონ გელაშვილი

   სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

   1. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი (თავმჯდომარე)
   2. პროფესორი რევაზ გველესიანი
   3. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
   4. პროფესორი თემურ შენგელია (მოადგილე)
   5. პროფესორი გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტი)
   6. ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე
   7. ასოცირებული პროფესორი თამაზ ხუბიაშვილი
   8. ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე
   9. ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი (მდივანი)
   10. ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე
   11. ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე

დისერტაციის დაცვის თარიღი: 2018 წელი, 30 ნოემბერი 13 საათი , 206 აუდიტორია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე – 22**

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ლევან სილაგაძის დისერტაციის ,,პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (1996-2016)" დაცვის კომისიის შემადგენლობა და დაცვის თარიღი.

4. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ალექსანდრე ერგეშიძის დისერტაციის ,,გაცვლითი კურსის ზეგავლენა მაკროეკონომიკურ გარემოზე"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
2. აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე
3. პროფესორი გიორგი ღაღანიძე
4. პროფესორი იური ანანიაშვილი
5. პროფესორი რევაზ გველესიანი (მოადგილე)
6. პროფესორი სიმონ გელაშვილი
7. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
8. პროფესორი ნოდარ ხადური (თავმჯდომარე)
9. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
10. პროფესორი ლევან ქისტაური (საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი)
11. ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური (მდივანი)

დისერტაციის დაცვის თარიღი: 2018 წელი, 5 დეკემბერი 14 საათი, 206 აუდიტორია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ალექსანდრე ერგეშიძის დისერტაციის „გაცვლითი კურსის ზეგავლენა მაკროეკონომიკურ გარემოზე" დაცვის კომისიის შემადგენლობა და დაცვის თარიღი.

5. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ლია გვაზავას სადისერტაციო ნაშრომის: „ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი მონოპოლიების დანახარჯების აუდიტი მარეგულირებელი მიზნებისათვის"
მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ლევან საბაური

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი გიორგი ღაღანიძე
2. პროფესორი დავით ნარმანია
3. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი (თავმჯდომარე)

4. ასოცირებული პროფესორი მარინა მაისურაძე (მდივანი)
5. ასოცირებული პროფესორი ნანა სრესელი
6. ასოცირებული პროფესორი ნადეჟდა კვატაშიძე
7. ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჭილაძე
8. ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯიქია (მოადგილე)
9. ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე
10. ასოცირებული პროფესორი ემზარ ჯგერენაია
11. ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე (საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი)

დისერტაციის დაცვის თარიღი: 2018 წელი, 6 დეკემბერი 15 საათი, 206 აუდიტორია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ლია გვაზავას სადისერტაციო ნაშრომის: „ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი მონოპოლიების დანახარჯების აუდიტი მარეგულირებელი მიზნებისათვის" დაცვის კომისიის შემადგენლობა და დაცვის თარიღი.

6. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თინათინ მეძმარიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის: „ბიზნესის ჩართულობა საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვებში" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი)

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:
1. პროფესორი გიორგი ღაღანიძე
2. პროფესორი ნუგზარ თოდუა
3. პროფესორი ლევან საბაური
4. **პროფესორი დემურ სიჭინავა**
5. **პროფესორი თემურ შენგელია**
6. პროფესორი თამთა მიქაბერიძე (სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი)

7. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
8. ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე (თავმჯდომარე)
9. ასოცირებული პროფესორი თეა მუნჯიშვილი (მდივანი)
10. ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე (მოადგილე)
11. ასოცირებული პროფესორი ლარისა ყორღანაშვილი

დისერტაციის დაცვის თარიღი: 2018 წელი, 14 დეკემბერი 14 საათი, 206 აუდიტორია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თინათინ მეძმარიაშვილის სადისერტაციო ნაშრომის: „ბიზნესის ჩართულობა საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების სახელმწიფო შესყიდვებში" დაცვის კომისიის შემადგენლობა და დაცვის თარიღი.

7. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე საყვარელიძის სადისერტაციო ნაშრომის: „მოტივაციის ზრდის სტრატეგიები საქართველოს საჯარო უწყებებში" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი დავით ნარმანია)

   სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:
   1. პროფესორი გიორგი ღაღანიძე
   2. პროფესორი ნუგზარ თოდუა
   3. პროფესორი ნოდარ ხადური (თავმჯდომარე)
   4. პროფესორი თემურ შენგელია
   5. პროფესორი ირმა მახარაშვილი (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი)
   6. ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე
   7. ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე (მოადგილე)
   8. ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი (მდივანი)
   9. ასოცირებული პროფესორი მანანა ხარხელი

დისერტაციის დაცვის თარიღი: 2018 წელი, 19 დეკემბერი 14 საათი, 206 აუდიტორია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე საყვარელიძის სადისერტაციო ნაშრომის: ,,მოტივაციის ზრდის სტრატეგიები საქართველოს საჯარო უწყებებში" დაცვის კომისიის შემადგენლობა და დაცვის თარიღი.

8. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თამარ ღუტიძის სადისერტაციო ნაშრომის:"აგრობიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმი საქართველოში" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური)

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი ირაკლი კოვზანაძე (თავმჯდომარე)
2. პროფესორი გიორგი ღაღანიძე
3. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი (მოადგილე)
4. პროფესორი ნუგზარ თოდუა
5. პროფესორი დავით ნარმანია
6. პროფესორი ეთერ ხარაიაშვილი
7. ემერიტუსი პროფესორი ელენე ხარაბაძე
8. პროფესორი თამარ გამსახურდია (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი)
9. ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე (მდივანი)
10. ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე
11. მოწვეული პროფესორი ემზარ ჯგერენაია

დისერტაციის დაცვის თარიღი: 2018 წელი, 12 დეკემბერი 14 საათი, 206 აუდიტორია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თამარ ღუტიძის სადისერტაციო ნაშრომის:"აგრობიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმი საქართველოში" დაცვის კომისიის შემადგენლობა და დაცვის თარიღი.

II. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიები:

ა) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ლანა სულაკაძის სადისერტაციო ნაშრომის: „საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორში განხორციელებული ინვესტიციები და მისი ფინანსური შედეგები"

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი ირაკლი კოვზანაძე
2. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
3. პროფესორი დავით ნარმანია
4. პროფესორი ნუგზარ თოდუა
5. ემერიტუსი პროფესორი ელენე ხარაბაძე
6. პროფესორი ლევან ქისტაური *(საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი)*
7. ასოცირებული პროფესორი ნანა სრესელი
8. ასოცირებული პროფესორი ნადეჟდა კვატაშიძე
9. ასოცირებული პროფესორი მარინა მაისურაძე
10. ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური
11. მოწვეული პროფესორი ემზარ ჯგერენაია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ლანა სულაკაძის სადისერტაციო ნაშრომის: „საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორში განხორციელებული ინვესტიციები და მისი ფინანსური შედეგები დაცვის კომისიის შემადგენლობა.

ბ) ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ *გიორგი მიქელაძის* სადისერტაციო ნაშრომის:*„ინვესტიციების ეკონომეტრიკულ-სტატისტიკური მოდელირება (საქართველოს მაგალითზე)“*

მეცნიერ-ხელმძღვანელები: *პროფესორი სიმონ გელაშვილი,*

ასოცირებული პროფესორი მარინა მუჩიაშვილი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
2. პროფესორი იური ანანიაშვილი
3. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
4. პროფესორი ნოდარ ხადური
5. პროფესორი თემურ შენგელია
6. პროფესორი ალექსანდრე სიჭინავა *(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)*
7. ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე
8. ასოცირებული პროფესორი აკაკი არსენაშვილი
9. ასოცირებული პროფესორი ნანა ასლამაზიშვილი *(საქართველოს ეროვნული ბანკი)*
10. ასოცირებული პროფესორი მარინა მინდორაშვილი
11. ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ გიორგი მიქელაძის სადისერტაციო ნაშრომის:„ინვესტიციების ეკონომეტრიკულ-სტატისტიკური მოდელირება (საქართველოს მაგალითზე)“ დაცვის კომისიის შემადგენლობა.

გ) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დისერტანტ ალექსანდრე მიქელაძის სადისერტაციო ნაშრომის: ,,ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოს გამოწვევები“.

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. **პროფესორი ნუგზარ თოდუა**
2. **პროფესორი ირაკლი კოვზანაძე**
3. **პროფესორი დავით ნარმანია**
4. **პროფესორი ნოდარ ხადური**

5. პროფესორი თემურ შენგელია
6. ასოცირებული პროფესორი მარინე თავართქილაძე (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი)
7. ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე
8. ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე
9. ასოცირებული პროფესორი ლარისა ყორღანაშვილი
10. ასოცირებული პროფესორი გიული ქემელაშვილი
11. ასოცირებული პროფესორი ლელა ღუდუშაული

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დისერტანტ ალექსანდრე მიქელაძის სადისერტაციო ნაშრომის: ,,ფულის გათეთრების გლობალური პრობლემა და საქართველოს გამოწვევები" დაცვის კომისიის შემადგენლობა.

დ) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ რევაზ გერაძის სადისერტაციო ნაშრომის: ,,ფინანსური ლიბერალიზაციის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე".
მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე
სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი ირაკლი კოვზანაძე
2. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
3. პროფესორი თეიმურაზ ბერიძე
4. პროფესორი ნუგზარ თოდუა
5. პროფესორი ლევან საბაური
6. ემერიტუსი პროფესორი ელენე ხარაბაძე
7. პროფესორი თემურ ყანდაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
8. ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური
9. ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი
10. ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი
11. მოწვეული პროფესორი ემზარ ჯგერენაია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ რევაზ გერაძის სადისერტაციო ნაშრომის: ,,ფინანსური ლიბერალიზაციის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე"დაცვის კომისიის შემადგენლობა.

III. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტების სადისერტაციო ნაშომის რეცენზენტები (შემფასებლები):

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ალექსანდრე შარაშენიძის სადისერტაციო ნაშრომის: „ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ეთერ ხარაიშვილი)
შემფასებლები: პროფესორი ევგენი ბარათაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ალექსანდრე შარაშენიძის სადისერტაციო ნაშრომის: „ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია" სადისერტაციო ნაშომის რეცენზენტები (შემფასებლები): პროფესორი ევგენი ბარათაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი.

მოისმინეს: ინფორმაცია ჟურნალ ეკონომიკისა და ბიზნესის საერთაშორისო ბაზებში ჩართვის მიზნით გაწეული და მიმდინარე სამუშაოების შესახებ

/პროფ. ე. მექვაბიშვილი/

პროფ. ე. მექვაბიშვილმა, როგორც ჟურნალის ,,ეკონომიკა და ბიზნესი" მთავარმა რედაქტორმა აღნიშნა, რომ თსუ-ისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელების დავალებით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ჟურნალის ,,ეკონომიკა და ბიზნესი" საერთაშორისო

ბაზებში ჩასართველად. ამჟამად ძირითადი მუშაობა მიმდინარეობს ERIH PLUS-ისა და EBSCO-ს ბაზებთან. მათი მოთხოვნის შესაბამისად გაკეთდა ჟურნალის ვებ-გვერდი და პროფილი სოციალურ ქსელში „ფეისბუქი." ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს ჟურნალის არქივის ელექტრონული ვარიანტის შექმნა და ბოლო ორი წლის ნომერების ციფრულ ფორმატში გადაყვანა, რაზეც ამჟამად ინტენსიური მუშაობა მინდინარეობს. ჟურნალის რედაქციის მხრიდან, ყველა ძირითადი პირობა იქნება შესრულებული ჟურნალის აღნიშნულ ბაზებში განსათავსებლად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ფაკულტეტის პროფესორებისთვის და დოქტორანტებისთვის. სამომავლოდ იგეგმება მუშაობა ჟურნალის SCOPUS-ის ბაზაში მოსახვედრად.

აზრი გამოთქვეს: აკად. ა. სილაგაძემ, პროფ. ლ. საბაურმა, ასოც. პროფ. ჩ. ჯაშმა, ასოც. პროფ. შ. შაბურიშვილმა

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: ინფორმაცია ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძის განცხადებასთან დაკავშირებით

/დეკანი, საბჭოს თავმჯდომარე, პროფ. გ. ღაღანიძე/

დეკანმა, პროფ. გ. ღაღანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძის განცხადება, რომელიც ეხება ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძის მიმართ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს. ეს ინფორმაცია სოციალურ ქსელში გავრცელდა 2018 წლის აკადემიური კონკურსის გარეთ დარჩენილი კანდიდატების მიერ. დეკანმა აღნიშნა, რომ შეურაცხმყოფელი გამონათქვამები ეხებოდა გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ის ნასამართლევია. დეკანმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ცნობა შსს-დან ნასამართლეობის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ ბ-ი ნ. პაიჭაძე არ არის ნასამართლევი.

დეკანმა ასევე აღნიშნა, რომ თსუ-ის ადმინისტრაციის მხრიდან გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები: ამ საქმის სათანადოდ შესწავლის მიზნით დამატებით მოწვეულ იქნა იურისტი ს. ჯორბენაძე. აღებულ იქნა კონსულტაციები, რომლის საფუძველზეც გადაწყდა, რომ განმაწესებელი სასამართლოების ჩატარების შემდეგ გამოიკვეთება სამომავლო მოქმედებების სტრატეგია. ასევე, ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის სამსახურში მუშაობა დაიწყო იურისტმა დავით მახვილაძემ, რომელიც მოემსახურება კოლეგების ინტერესების დაცვას.

აზრი გამოთქვეს: აკად. ა. სილაგაძემ, პროფ. ლ. საბაურმა.

აკად. ა. სილაგაძემ აღნიშნა, რომ ხდება შეურაცხმყოფელი ქმედებების წახალისება. მან ასევე აღნიშნა, რომ უნდა მოხდეს ლექცია-სემინარების ჩატარების მკაცრი აღრიცხვა, რადგან ფიქსირდება ფაქტები ზოგიერთი პროფესორის მხრიდან ლექციების გაცდენის შესახებ.

აკად. ა. სილაგაძემ საბჭოს თავმჯდომარეს მოუწოდა, რომ მოხდეს თსუ-ის ადმინისტრაციისათვის აღნიშნულ ფაქტზე რეაგირების მოთხოვნა, დადგენილი წესით.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: საბჭომ მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი რეაგირება ეთხოვოს თსუს ხელმძღვანელობას.

მოისინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ წესში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/დეკანი, საბჭოს თავმჯდომარე, პროფ. გ. ღაღანიძე/

ბატონმა გ. ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ცვლილებების შესახებ ინფორმაცია საბჭოს წევრებისთვის წინასწარ იქნა დაგზავნილი. აღნიშნულ დოკუმენტში ფაკულტეტის ადმინისტრაცია შეეცადა თავი მოეყარა ყველა ცვლილებისთვის და ამ სახით მომხდარიყო მისი საბჭოს წევრებისადმი წარდგენა.

გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ი. ანანიაშვილმა, აკად. ა. სილაგაძემ.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ წესში ცვლილებების შეტანის შესახებ, აღნიშნული შესწორებების გათვალისწინებით.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 22
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ წესში ცვლილებები აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით:

დატვირთვების, ძირითადი და დამატებითი საათების განაწილების პრინციპების შესახებ

I. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის კათედრებზე არსებული სავალდებულო დატვირთვის საათების განაწილების წესი

1. კათედრებმა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ გადაცემული I ეტაპისთვის გათვალისწინებული სასწავლო საათები (დატვირთვა) პირველ რიგში, გაანაწილონ შტატის პედაგოგების ძირითად დატვირთვაზე, I ეტაპის გაუნაწილებელი და II ეტაპის საათები კათედრებმა გაანაწილობს თავიანთი შეხედულებისამებრ, როგორც აკადემიურ, ასევე მოწვეულ პერსონალზე;

II. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის კათედრებზე არსებული დამატებითი საათების განაწილების წესი

1. დამატებითი საათები არ მიეცემა იმ აკადემიურ პერსონალს, რომელსაც აკადემიური თანამდებობის პარალელურად უკავია ადმინისტრაციული ან დამხმარე პერსონალის საშტატო ერთეული, აგრეთვე, B კონტრაქტზე მყოფ აკადემიურ პერსონალს;

2. დამატებითი საათები ითვალისწინებს როგორც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ასევე, ტურიზმის სკოლის სასწავლო საათებს;

3. თსუ-ის სხვა ფაკულტეტზე სასწავლო კურსების წასაკითხად მოწვეული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის მიცემული საათეები არ გაითვალისწინება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვაში (ძირითადი და დამატებითი) და შესაბამისად, მათზე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან შრომითი ანაზღაურება არ გაიცემა. აღნიშნული საათების გათვალისწინება ძირითად დატვირთვაში შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აკადემიური პერსონალი ვერ ახერხებს ძირითადი დატვირთვის შევსებას და მას არ ექნება დამატებითი საათები არცერთ სემესტრში.

4. აკადემიური პერსონალისთვის ძირითადი და დამატებითი საათების საერთო რაოდენობა სემესტრში, <u>ასიმეტრიული დატვირთვის გარდა</u> (შეეხება იმ კათედრას, რომელსაც დატვირთვის 80 %-ზე მეტი აქვს ერთ სემესტრში) არ უნდა აღემატებოდეს: პროფესორი - 14 საათს (8 სთ.+ 6 სთ.); ასოცირებული პროფესორი - 16 საათს (10 სთ.+ 6 სთ.); ასისტენტ-პროფესორი - 18 საათს (12 სთ.+ 6 სთ.); მასწავლებელი - 16 საათს (10 სთ.+ 6 სთ.);

5. აკადემიური პერსონალისთვის ძირითადი და დამატებითი საათების საერთო რაოდენობა სემესტრში, <u>ასიმეტრიული დატვირთვის შემთხვევაში</u> (შეეხება იმ კათედრას, რომელსაც

დატვირთვის 80 %-ზე მეტი აქვს ერთ სემესტრში) არ უნდა აღემატებოდეს: პროფესორი - 16 საათს (10 სთ.+ 6 სთ.); ასოცირებული პროფესორი - 20 საათს (14 სთ.+ 6 სთ.); ასისტენტ-პროფესორი - 24 საათს (18 სთ.+ 6 სთ.); მასწავლებელი - 20 საათს (14 სთ.+ 6 სთ.);

ან

აკადემიური პერსონალისთვის ძირითადი და დამატებითი საათების საერთო რაოდენობა სემესტრში, <u>ასიმეტრიული დატვირთვის შემთხვევაში</u> (შეეხება იმ კათედრას, რომელსაც დატვირთვის 80 %-ზე მეტი აქვს ერთ სემესტრში) არ უნდა აღემატებოდეს: პროფესორი - 18 საათს (12 სთ.+ 6 სთ.); ასოცირებული პროფესორი - 22 საათს (16 სთ.+ 6 სთ.); ასისტენტ-პროფესორი - 26 საათს (20 სთ.+ 6 სთ.); მასწავლებელი - 22 საათს (16 სთ.+ 6 სთ.);

6. <u>ასიმერტიული დატვირთვის შემთხვევაში,</u> თუ კათედრა გადაწყვეტს, რომ აკადემიურმა პერსონალმა შეასრულოს ორივე სემესტრის ძირითადი დატვირთვის საათები შემოდგომის სემესტრში (მაგალითად, ასოცირებული პროფესორი 10+10=20 სთ.), მაშინ მას, საათების არსებობის შემთხვევაში, მიეცეს უფლება მეორე, გაზაფხულის სემესტრში აიღოს მხოლოდ დამატებითი საათები (არაუმეტეს 12 საათისა).

შენიშვნა: პუნქტებში 4, 5, 6 წარმოდგენილი წესი შეიძლება არ გავრცელდეს იმ სასწავლო კურსების საათების განაწილებაზე, რომლებსაც კითხულობს მხოლოდ ერთი აკადემიური პერსონალი, ერთ სემესტრში. მსგავს შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, კათედრა დამოუკიდებლად ღებულობს გადაწყვეტილებას სასწავლო საათების განაწილებასთან დაკავშირებით.

III. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის <u>დამხმარე პერსონალისთვის</u> სასწავლო საათების განაწილების წესი

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დამხმარე საშტატო თანამდებობებზე მომუშავე პერსონალითვის (მ.შ. პროფესორის ასისტენტები, რომლებსაც კათედრის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით უნაწილდებათ სასწავლო საათები) საათების განაწილებისას, მათი ძირითადი საშტატო ფუნქციიდან გამომდინარე, გაითვალისწინებულ იქნას შედეგი წესი: სასწავლო დატვირთვა ძირითადად გადანაწილდეს შაბათ დღეს, ხოლო კვირის სხვა დღეებზე სააუდიტორიო საათი შეადგენდეს დღეში 2 საათს და კვირაში საათების საერთო რაოდენობა არ **აღემატებოდეს 12 საათს.**

IV. *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის <u>მოწვეული პერსონალის შერჩევისა და</u> სასწავლო საათების განაწილების წესი*

1. თსუ-ში და მათ შორის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მოწვეული პერსონალის შერჩევა უნდა განხორციელდეს თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე (№119/2018, 30.04.2018). აღნიშნული წესით (მუხლი3 პუნქტი 2), პროგრამის/კათედრის

ხელმძღვანელი მოწვეულ კანდიდატებს, შესაბამისი დასაბუთებით, წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს, რომელიც თავის მხრივ, თანხმობის შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით შუამდგომლობით მიმართავს თსუ რექტორს.

2. მოწვეული პერსონალისთვის კვირეული დატვირთვის მაქსიმალური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 16 აკადემიურ საათს.(ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს ოქმი№7, 30.11.2012)

V. აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სწავლების სამივე საფეხურზე დღიური საათობრივი დატვირთვის განსაზღვრის შესახებ

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის (გარდა დამხმარე პერსონალისა) დღიური საათობრივი დატვირთვა, სწავლების სამივე საფეხურის გათვალისწინებით, განისაზღვროს არაუმეტეს 8 საათი.

VI. მაგისტრატურის საფეხურზე, მოდულის შექმნისთვის ჯგუფში სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ (სტუდენტების მინიმალური ქვოტა)

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის და ტურიზმის სამაგისტრო პროგრამებზე მოდულების შექმნისთვის აუცილებელია არანაკლებ 3 სტუდენტი.

VII. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე არჩევითი სასწავლო კურსების მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

1. მაგისტრატურის საფეხურზე არჩევითი სასწავლო კურსების მაქსიმალური რაოდენობა სემესტრში არ აღემატებოდეს 5 -ს;

2. თუ, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სემესტრში 1 (მაგალითად, 5 კრედიტის მოცულობის) არჩევითი სასწავლო კურსის გავლას, მაშინ პროგრამით სემესტრში შეთავაზებული უნდა იყოს არაუმეტეს 3 არჩეკითი სასწავლო კურსი, ხოლო 2 (მაგალითად, 10 კრეტიტის მოცულობის) არჩევითი სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში პროგრამით შეთავაზებული უნდა იყოს არაუმეტეს - 5 არჩევითი სასწავლო კურსი.

მოისმინეს: დეკანის ინფორმაცია აკადემიური კონკურსის შესარჩევ კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

დეკანმა, პროფ. გ. ღაღანიძემ აღნიშნა, რომ საკონკურსო კრიტერიუმებზე მუშაობა საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. კათედრებიდან შემოვიდა საინტერესო შენიშვნები. ყველა შენიშვნის გათვალისწინებით, ერთი კვირის ვადაში მოხდება დოკუმენტის დაზუსტება და დაგზავნა, რომელიც შემდგომ უნდა გაიგზავნოს თსუ-ის ადმინისტრაციაში

აზრი გამოთქვეს: პროფ. მ. მინდორაშვილმა.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი: ... ღაღანიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: მ. ხოცვალაძე